<u>ბიზნეს გეგმის შეფასება</u>

ბიზნეს გეგმა შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- **პრობლემის გადაჭრის გზა (პროდუქტის/სერვისის აღწერა)**
    i. პრობლემის გადაჭრის გზა (პროდუქტი/სერვისი) პირდაპირ პასუხობს მომხმარებლის საჭიროებებს
    ii. პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული გზა (პროდუქტი/სერვისი) განხორციელებადია
    iii. პრობლემის გადაჭრის გზა(პროდუქტი/სერვისი) ინოვაციურია ან აქვს მაღალი პოტენციალი
    iv. პრობლემის გადაჭრის გზა(პროდუქტი/სერვისი) რამდენად ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე შესაძლებლობების გამოყენებას და რამდენად არის გათვლილი ადგილობრივ საჭიროებებზე.
    v. ბიზნეს საქმიანობა არის თუ არა არსებული პროდუქციის/სერვისის გაუმჯობესებაზე გათვლილი.

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 15 ქულით)</u>

- **ბაზრის კვლევა**
    i. - მკაფიოდ არის განსაზღვრული ბაზარი და მისი მნიშვნელობა
    ii. - მკაფიოდ არის განსაზღვრული კონკურენტული უპირატესობა და მისი მნიშვნელობა
    iii. - მკაფიოდ არის განსაზღვრული კომპანიის სტრატეგია და ზრდის პოტენციალი

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 15 ქულით)</u>

- **მარკეტინგი და გაყიდვები**
    i. - ბაზარზე შესვლის სტრატეგიის სიცხადე და ადეკვატურობა
    ii. - მარკეტინგული გეგმის სიცხადე და ადეკვატურობა
    iii. - დისტრიბუციის სიცხადე და ადეკვატურობა

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 10 ქულით)</u>

- **წარმოება/სერვისის შექმნა**
    i. საწარმოო გეგმის შესრულების შესაძლებლობა
    ii. პროდუქტის/სერვისის შესაქმნელად საჭირო რესურსებზე წვდომა
    iii. ჩამოყალიბებული და საიმედო მიწოდების ქსელი

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 10 ქულით)</u>

- **ორგანიზაციული სტრუქტურა, ადამიანური რესურსები და პარტნიორები**
    i. - კომპანიის მენეჯმენტს და საკვანძო პერსონალს აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება
    ii. - დაგეგმილი პროექტის განხორციელების შესაძლებლობა
    iii. -პროექტის განხორციელებისთვის შესაფერისი პარტნიორების/სადამფუძნებლო სტრუქტურის არსებობა

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 10 ქულით)</u>

- **ფინანსური გეგმა**

i. ფინანსური დაშვებების ადეკვატურობა
ii. - მოგების მიღების შესაძლებლობა პროექტის დაწყებიდან ორი ან სამი წლის განმავლობაში
iii. - განსახორციელებელი პროექტის ბიუჯეტის ადეკვატურობა და საინვესტიციო გეგმის პროგრამის პირობებთან შესაბამისობა
iv. - წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო გეგმა რამდენად პასუხობს ბიზნესის საჭიროებებს?
v. - ხარჯების ადეკვატურობა

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 25 ქულით)</u>

- **რისკები და SWOT**
  i. - იდენტიფიცირებულია ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და შემუშავებულია მათი მართვის სიტემა.
  ii. - მოცემული SWOT ანალიზი ადეკვატურია

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 5 ქულით)</u>

- **განხორციელების გეგმა**
  i. - პროექტის განსახორციელებლად შემოთავაზებული ვადა არის თუ არა ადეკვატური
  ii. - მიიღწევა თუ არა პროექტის მიზნები პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე?
  iii. - რამდენად მაღალია ერთი ერთეული სამუშაო ადგილს შექმნისთვის გამოყოფილი თანადაფინანსების მოცულობა?

<u>შეფასდება (მაქსიმუმ 10 ქულით)</u>

მაქსიმალური ქულა კატეგორიაში	**მინიმალური დასაშვები ქულა**
25	17
15	11
10	7
5	3

<u>შენიშვნა:</u> <u>თითოეული კრიტერიუმის ჯგუფის შეფასება ხორციელდება მინიჭებული ქულათა რაოდენობის შესაბამისად. ბიზნეს გეგმის დაფინანსების საკითხი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ბიზნეს გეგმა თითოეული კრიტერიუმის ჯგუფში დააგროვებს ქულათა მინიმალურ დასაშვებ ოდენობას</u>

✓ დამატებით შეფასებულ იქნება:

- შეესაბამება თუ არა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის კვალიფიკაცია ბიზნეს გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობის მოთხოვნებს;
- რამდენად დეტალურად არის აღწერილი პროდუქცია/მომსახურება;
- პოტენციური ბაზარის შეფასება - პროექტით წარმოდგენილი გაყიდვების არხებით შესაძლებელია თუ არა დაგეგმილი შემოსავლების მიღება;
- არსებობს თუ არა განსახორციელებელი პროექტის საჭირო ნედლეულით (წარმოების შემთხვევაში) და კვალიფიციური მომსახურე პერსონალით უზრუნველყოფის შესაძლებლობა (სერვისის/მომსახურების შემთხვევაში)

- რამდენად დეტალურად არის აღწერილი წარმოების პროცესი ან/და შეთავაზებული მომსახურება
- საინვესტიციო გეგმის სტრუქტურა;
- სხვა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისას;

ბიზნეს მოდელის შეფასება

	ქულა	წონა	ჯამი
1. ბაზარი / სამიზნე ჯგუფი - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - არის საკმარისი მოცულობის ბიზნესის მდგრადობისთვის -აქვს მსყიდველობითი უნარი შეიძინოს პროდუქტი / მომსახურება - აქვს განვითარების და დივერსიფიკაციის შესაძლებლობა		4	
2. მომხმარებლებისთვის შექმნილი ღირებულება - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - აქვს/ექნება თვალსაჩინო ეფექტი/სარგებელი (ქმნის ღირებულებას) - აქვს/ექნება კონკურენტული უპირატესობა		4	
3. მიწოდების არხები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შესაძლებელია / შესაბამისია		1	
4. მომხმარებელთან ურთიერთობა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შესაძლებელია / შესაბამისია		1	
5. შემოსავლის ნაკადი -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		2	
6. ძირითადი რესურსები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		1	
7. ძირითადი აქტივობები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		1	
8. საკვანძო პარტნიორები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია და შესაძლებელია		1	
9. ხარჯების სტრუქტურა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია		2	
10. საერთო შეფასება			
-ბიზნეს მოდელი გამართული და თანმიმდევრულია		2	
- შემოთავაზებული პროდუქტის / მომსახურების / ტექნოლოგიის მოდელის გამოყენება შესაძლებელია		1	
- ბიზნესის აშკარა რისკები მართვადია		1	
11. ბიზნეს საქმიანობის აპლიკაცია			
- სავარაუდოდ, ქმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		2	

- სავარაუდოდ, ქმნის ქალთა მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		1	
- ქმნის სინერგიულ ეფექტს სხვა განცხადებებთან / პროექტებთან ერთად		1	

0 = არ პასუხობს მოთხოვნას ან სრულად არათემატურია, 1 = შეუსაბამოა, 2 = შესაძლებელია, 3 = კარგია, 4 = შესანიშნავი

0 ქულა ან 1 ქულა ნებისმიერ კატეგორიაში იწვევს განაცხადის უარყოფას. შემდგომ ეტაპზე დაშვების მინიმალური ქულა არის 70.